#115 2015 წლის 2 აპრილი ქ. თბილისი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრისთვის, თამარ ზაალიშვილისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისა და „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 3 სექტემბრის №316 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტისა და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 23-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრის უფლებამოსილება შეუწყდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრს, თამარ ზაალიშვილს.

2. „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 3 სექტემბრის №316 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

ირინა ხანთაძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის სამხრეთ კავკასიის რეგიონის ოფიცერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ლიკა ქათამაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს სხდომის მდივანი;

ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი;

ირინე კვახაძე - ა(ა)იპ - საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე;

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), პროფესორი;

ბორის ლეჟავა - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის დეკანი;

ნინო სოზაშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.“.

ირაკლი ღარიბაშვილი